შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№28 (9.544)

3 აგვისტო 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ა გ ვ ი ს ტ ო ს ს ე ვ დ ა

საქართველოში უკვე მეოთხედ ხსოვნის კვირეული ცხადდება. ეს დღეები საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და პატივი მივაგოთ აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა სულებს... უკვე მეოთხე წელია, აგვისტოს დენთის სუნი ასდის, რომელიც ომის საშიშროებაზეც გვაფიქრებს და ჩვენი ქვეყნის ისტორიაზეც... როგორც ჩანს, ჟამთასვლა და ტექნიკური მიღწევები ომის კანონებს არ ცვლის...

დღეს კვლავ აქტუალურია „ვეფხვისა და მოყმის ბალადის“ სიუჟეტი, კვლავ არიან უსაფლავო გმირებიც და თანამედროვე ღიმილის ბიჭებიც. კვლავ ისევე ტირიან მათი დედებიც...

შესაძლოა ისტორიისთვის აგვისტოს 5 დღე არაფერია, ომგამოვლილისთვის კი მთელი ცხოვრებაა.თითოეული წვეთი სისხლი,თითოეული დაღუპული ჯარისკაცი თუ მშვიდობიანი მოქალაქე ქართული სახელმწიფოსთვის უზომო დანაკლისია.

გაზეთ „პრაიმ—ტაიმის“ ინიციატივით, საქართველოში ხსოვნის კვირეული ცხადდება, რომლის სიმბოლოსაც წითელი ყაყაჩო წარმოადგენს. გაზეთის რედაქტორის განმარტებით, მან მსგავსი აქცია ევროპაში, კერძოდ კი პოლონეთში ნახა და ხსოვნის სიმბოლოდ ამ ყვავილის გამოყენების სურვილი თავადაც გაუჩნდა.

წითელი ყაყაჩოები კი, მე პირადად, ლადო ასათიანის ლექსს და 300 არაგველის გმირულ ისტორიას უფრო მახსენებს, ქართველების სისხლით გაპოხიერებულ მიწას

კრწანისის მსგავსად წლების შემდეგ უკვე შინდისსა თუ ერგნეთში რომ ამოხეთქავს...

* * *

აგვისტოს ომს სამი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში აიგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალი, სადაც გმირების სახელებია ამოტვიფრული. 8 აგვისტოს დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლება გვირგვინებით შეამკობს მემორიალს და კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნას.

ინგა შიოლაშვილი

ხანძარი ვაშლოვანის ნაკრძალში

გასული კვირა მძიმედ დაიწყო ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის. დედოფლისწყაროელთა ბუნებრივ განძს 30 ივლისს საღამოს ხანძარმა შეუტია. ვაშლოვანის ნაკრძალის დაცულ ტერიტორიებზე, ე.წ. „შავი მთის“ მიდამოებში ხანძარი ორშაბათს საღამოს გაჩნდა. კერა მეორე დღესაც განახლდა.

გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, 30 ივლისს დღის მეორე ნახევარში დედოფლისწყაროს რაიონში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე გაჩენილმა ხანძარმა 1 000 ჰექტრამდე ტერიტორია მოიცვა, სადაც ძირითადად ბუჩქნარი და ბალახი დაიწვა. ხელისუფლების წარმომადგენლების მტკიცებით, ხანძარი არ გავრცელებულა ხემცენარეებზე.

ადგილზე დაუყოვნებლივ შეიქმნა საგანგებო შტაბი. მობილიზებული იყო თავდაცვის, შინაგან საქმეთა და გარემოს დაცვის სამინისტროების შესაბამისი ძალები და ადგილობრივი მეხანძრეები. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე. მინისტრი ხაზს უსვამს, რომ მცენარეთა უნიკალური ჯიშები და ნაკრძალის ცხოველები ხანძარს არ გაუნადგურებია.

სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მოხერხდა უნიკალური სახეობების გადარჩენა. ოთხშაბათს, დილით ხანძრის საბოლოო ლოკალიზებისთვის სამუშაოებში ვერტმფრენებიც ჩაერთო და 1 აგვისტოს დილის 9 საათისთვის ხანძარი სრულად იქნა ლიკვიდირებული. მოგვიანებით კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაკრძალში ხანძრის ახალი კერა გაჩნდა. ზოგიერთი მედიასაშუალების ინფორმაციით, ცეცხლი 1 500—ჰექტრამდე გავრცელდა.

როგორც დედოფლისწყაროს სახანძრო—სამაშველო სამსახურის სამაშველო განყოფილების უფროსმა დავით დუღაშვილმა განაცხადა ხანძრის სალიკვიდაცო ღონისძიებებში ავიაციაც ჩაერთო და დაცულ ტერიტორიაზე ცეცხლის გავრცელების საშიშროება აღიკვეთა.

„ცეცხლის ახალი კერა ერთი საათის წინ ჩავაქრეთ. მთელი ღამის განმავლობაში ვმუშაობდით. მობილიზებული იყო კახეთის სახანძრო-სამაშველო ბრიგადები. ავიაცია დაგვეხმარა და ხანძრის ლოკალიზება ისე შევძელით. ცეცხლის ახალი კერის წარმოქმნის მიზეზი ხმელი ბალახი იყო. ჩაწოლილი, ხმელი ბალახია მინდორში. ალბათ, ნაპერწკალი ჩავარდა და ხანძარი ისევ გაჩნდა. მხოლოდ მინდვრები დაიწვა. ამ დროისთვის ცეცხლის გავრცელების საშიშროება აღარ არსებობს“, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დავით დუღაშვილმა.

ცალკეული მედიასაშუალებების მიერ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ხანძრის შედეგად ვაშლოვანის ნაკრძალში უნიკალური ჯიშებიც განადგურდა, საუბარი იყო ცხოველების დახოცვაზეც. ამავე მასალაში ნათქვამია, რომ დედოფლისწყაროს სახანძრო—სამაშველო სამსახური უნიკალური ხის ჯიშების განადგურებას ადასტურებს. „შირაქმა“ ამ ინფორმაციის გადამოწმება დედოფლისწყაროს სახანძრო—სამაშველო სამსახურში სცადა. სამსახურის უფროსი ჩვენთან საუბრისას უნიკალური ჯიშების განადგურებას და მათი სამსახურის მხრიდან ინფორმაციის დადასტურების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

„ცეცხლი ამ დროისთვის სრულად არის ლიკვიდირებული და ხანძრის განახლების საფრთხე არ არის. გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ხანძრის შედეგად უნიკალური ჯიშები განადგურდა და ცხოველიც დაიხოცა — სიმართლეს არ შეესაბამება. არანაირი სერიოზული ზარალი არ არის,“ — აცხადებს დედოფლისწყაროს სახანძრო—სამაშველო სამსახურის უფროსი ლევან გოზალიშვილი.

პირველივე ღამიდან შემთხვევის ადგილზე შეზღუდული იყო გადაადგილება. ნაკრძალის ტერიტორიეზე რეინჯერები და სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები ჟურნალისტებს არ უშვებდნენ.

გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები კი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებს არცთუ დადებითად აფასებენ.

"ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" თავმჯდომარის, ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ხაჩიძის უწყების დამსახურებაა ის, რომ ვაშლოვანში 1000 ჰა-ზე მეტი ტყის მასივი განადგურდა და არსებობს საფრთხე, რომ ცეცხლის კერები სხვა ადგილებშიც გაჩნდება, ვინაიდან მისი უწყების მიერ წლებია არ გატარებულა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

„იმის მაგივრად, რომ მინისტრს ხანძართან ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო, იგი ქუთაისში კონცერტზე ერთობოდა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და თავისი დღევანდელი თანამდებობა მხოლოდ პირადი მიზნების მისაღწევად და გასართობად სჭირდება. ხაჩიძის მინისტრობის პერიოდში საქართველოს ეკოსისტემა ყოველდღიურად მნიშვნელოვან ზიანს განიცდის გარემოს დაცვის სამინისტროს დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად. აქედან გამომდინარე, ,,ეკოლოგიური სამართლის ცენტრის'' თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე გოგა ხაჩიძის დაუყოვნებლივ გადაყენებას მოითხოვს,“- ნათქვამია განცხადებაში.

"ეკოლოგიური სამართლის ცენტრი" გოგა ხაჩიძის გადაყენებას ითხოვს,- ამის შესახებ ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

ილია მარტყოფლიშვილი

გვ. 5

სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარი მოქმედი გახდა

გვ. 7

ყურადღება,სიახლე!

ქალაქ დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქუჩაზე, ყოფილი ყველმრეწვის შენობაში, ფუნქციონირება დაიწყო საქონლის სასაკლაომ. მსურველები დაგვიკავშირდით:

579 632007;

571 199881

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

პრემიერის განცხადებით, საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის შემგროვებელი პუნქტები გაიხსნება

პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, გლეხებსა და ფერმერებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვაში, საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის სახელმწიფო კომპანია დაეხმარება. ამისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით ხილისა და ბოსტნეულის შემგროვებელი პუნქტები გაიხსნება.

კახეთში, ერთ—ერთი ასეთი პუნქტი გურჯაანშიც გაიხსნება, სადაც ძირითადად ატამს, ქლიავს და ხურმა — კარალიოკს ჩაიბარებენ.

„ხილისა და ბოსტნეულის შემგროვებელი პუნქტები მიღებულ პროდუქციას დაახარისხებს, დააფასოებს და შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება. პროდუქციის ტრანსპორტირებაში აქტიურად ჩაერთვება რკინიგზა და ავიაცია. ამჟამად მიმდინარეობს შემნახველი ტერმინალის მშენებლობა უკრაინაში, საიდანაც განხორციელდება ქართული ხილისა და ბოსტნეულის გატანა როგორც უკრაინის, ისე აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ბაზრებზე. ყველაზე ცუდი არის ის, რომ საქართველოში სასოფლო—სამეურნეო პროპდუქციაზე არ არის სტაბილური ფასები. ერთ წელიწადს ძვირი ღირს, მეორე წელიწადს იაფდება, ზარალდება მწარმოებელი, ბიზნესმენი და მთელი საქართველო. შედეგად ვიღებთ იმას, რომ საქართველოში ხშირად იგივე პროდუქცია, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ შემოდის უცხოეთიდან, ის უფრო კარგად იყიდება, ვიდრე ქართული. ხელი უნდა შევუწყოთ, ნვრილ, საშუალო და დიდ ბიზნესმენებს და მწარმოებელ გლეხებს, რომ თავისი ჭარბი პროდუქცია გაიტანონ საქართველოს გარეთ. კომპანია მწარმოებლებს დაეხმარება საბაჟო პროცედურების გამარტივებულად გავლის, პროდუქციის ტრანსპორტირების და საზღვარგარეთის ბაზრებზე გატანის მიმართულებით“, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, თუ სახელმწიფო კომპანიას ეს ტვირთი გზაში გაუფუჭდა ან გვიან ჩაიტანა, ამ შემთხვევაში ფერმერიც, გლეხიც და მწარმოებელიც კომპენსაციას მიიღებს.

„2—3 წელიწადი საქართველოში იქნება სტაბილური ფასები, ყველაფერზე რაც წელან ჩამოვთვალე, მაშინ გაორმაგდება და გახუთმაგდება წარმოება. წელს ვაპირებთ რომ ექსპორტზე 30 ათასი ტონა ციტრუსი გავიტანოთ, 200 ტონა კივი, ხურმა—კარალიოკი 8 ათასი ტონა, ატამი და ვაშლატამა 5 ათასი ტონა, მწვანილი 5 ათასი ტონა, კომბოსტო 10 ათასი ტონა, და შემდეგში ეს ჩამონათვალი გაფართოვდება. ჩვენ ვიქნებით თქვენი ხიდი ევროპასთან“, — აღნიშნა მერაბიშვილმა.

საჯარო მოხელეებისთვის წინასაარჩევნო შეზღუდვები ამოქმედდა

საჯარო მოხელეებისათვის წინასაარჩევნო შეზღუდვები დღეიდან ამოქმედდა. როგორც კონსტიტუციონალისტმა ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, საჯარო მოხელეებს უკვე დღეიდან, არჩევნების თარიღის გამოცხადებიდან, არ აქვთ უფლება,სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დრო საარჩევნო აგიტაციისთვის გამოიყენონ — არც არავის მხარდასაჭრად და არც არავის საწინააღმდეგოდ. ამ მხრივ, საჯარო მოხელეების დაყოფა ხდება. კერძოდ, ე.წ. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს აგიტაციაში მონაწილეობა არ ეკრძალებათ.

მაგალითად, მინისტრს უფლება აქვს, აგიტაციას სამსახურის დროსაც ეწეოდეს. სხვა საჯარო პირებს აგიტაცია მხოლოდ სამუშაო დროს ეკრძალებათ, არასამუშაო დროს კი დაშვებულია. სხვა კატეგორიის საჯარო პირებს: პოლიციის, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის წარმნომადგენლებს, სამხედროებს, პროკურატურის თანამშრომლებს, მოსამართლეებსა და მათ თანაშემწეებს აგიტაციაში მონაწილეობა საერთოდ ეკრძალებათ – არ აქვს მნიშვნელობა, სამსახურის დროა, თუ არა.

ვახტანგ ხმალაძის თქმით, კანონით, საჯარო მოხელეების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაც აკრძალულია. კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვინმეს მხარდასაჭერად ან ვინმეს საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციული მატერიალური რესურსის: შენობის, კომუნიკაციის საშუალებების, ავტომანქანების, საწვავის და ა.შ. რესურსების გამოყენება დაუშვებელია.

ხსენებული აკრძალვები დღეიდან დაინყო და არჩევნების დასრულებამდე და შედეგების გამოცხადებამდე გაგრძელდება.

ვახტანგ ხმალაძის თქმითვე, შეზღუდვაა ისიც, რომ თუ საჯარო მოხელეს კანდიდატად წარადგენენ, მან თანმდებობა მანამდე უნდა დატოვოს, სანამ რეგისტრაციაში გაატარებენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბრისთვის დაინიშნა.

კახეთში რეგიონული განვითარების საბჭო შეიქმნა

კახეთის მხარეში რეგიონული განვითარების საბჭო შეიქმნა. როგორც კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში განაცხადეს, საბჭო, სათათბირო ორგანოა და გუბერნატორის ინიციატივით შეიქმნა.

მისი ძირითადი ამოცანა კახეთის რეგიონის 2012- 2017 წლების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაა.

„მიმდინარე წლის 3 აგვისტოს თელავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სათათბირო ორგანოს ფარგლებში პირველი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება. შეხვედრაზე დეტალურად იქნება წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა, რომელიც კახეთის მხარეში ეფექტური რეგიონული მმართველობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. სახელმწიფო რწმუნებულის აპარატთან ერთად გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის (GIZ) თანამშრომლობით და მხარდაჭერით ექსპერტთა ჯგუფი ჩამოყალიბდა, ისინი საერთო ძალებით რეგიონული განვითარების სტრატეგიაზე იმუშავებენ“, - განაცხადეს კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში.

ახალი მართვის მოწმობები ამოქმედდა



1 აგვისტოდან ძალაში ახალი, მაღალტექნოლოგიური ხარისხის მართვის მოწმობები შევა, რომელიც ევროკავშირის კონვენციის სტანდარტების შესაბამისია. ახალი მოწმობა ლაზერულ პრინტერზეა დაბეჭდილი და მასზე როგორც კატეგორიები, ასევე ქვეკატეგორიებია მოცემული.

მართვის მოწმობაზე ასევე მინიშნებული იქნება ავტომობილის მართვის რამდენწლიანი სტაჟი გააჩნია მძღოლს. ახალი მართვის მოწმობის აღება მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან შეეძლება. მისი ფასი უცვლელი რჩება.

მოქალაქეებს მითითებული ვადის ამოწურვამდე ძველი მართვის მოწმობების გამოყენება შეუძლიათ.

უწმინდესი – შეიძლება სხვები გვიკეთებდნენ ცუდს, მაგრამ ეს ჩვენ არ უნდა ვაკეთოთ, ცუდი საქმე ადამიანს უკან უბრუნდება

მართლმადიდებელი ეკლესია 2 აგვისტოს წმინდა ილია წინასწარმეტყველისა და წმინდა ილია მართლის ხსენების დღეს აღნიშნავს. დღესასწაულთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში წირვას აღავლინა.

უწმინდესმა ქადაგებისას სიკეთისა და ბოროტების შესახებაც ისაუბრა და ბრძანა, რომ შეიძლება სხვები გვიკეთებდნენ ცუდს, მაგრამ ეს ჩვენ არ უნდა ვაკეთოთ, ცუდი საქმე ადამიანს უკან უბრუნდება.

“ჩვენ არ ვცხოვრობთ იმისთვის, რომ ცუდი ვაკეთოთ სხვებისთვის. შეიძლება სხვები გვიკეთდებდნენ ცუდს, მაგრამ ჩვენ ეს არ უნდა გავუკეთოთ. ცუდი საქმე ადამიანს უკან უბრუნდება”, - ბრძანა პატრიარქმა.

ილია მეორემ აღნიშნა, რომ არიან ადამიანები, რომელთაც სიკეთის გარეშე არ შეუძლიათ ცხოვრება და არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც არ შეუძლიათ, რომ ბოროტება არ გააკეთონ.

წმინდა ილია წინასწარმეტყველი ქრისტესშობამდე 9 საუკუნეზე მეტი ხნის წინ ცხოვრობდა. წინასწარმეტყველ წმინდა ილია თეზბიტელის მამამ ჩვენება იხილა: ახალშობილ მის შვილს ანგელოზები ცეცხლის ალში ხვევდნენ და ცეცხლით კვებავდნენ. ილია თეზბიტელმა სიყმაწვილიდანვე თავი უფალს უძღვნა და უდაბნოში განმარტოვდა. მან ისრაელის მეფე აქაბი ბაალის კერპთაყვანისმცემლობისთვის ამხილა, რის გამოც დედოფალ იეზაბიელისგან იდევნებოდა. წმ. ილიამ იწინასწარმეტყველა, რომ კერპთაყვანისმცემლობისთვის ქვეყანას ღმერთი გვალვით დასჯიდა. სამწლიანი გვალვის შემდეგ უფალმა წმ. ილიას ლოცვა შეისმინა.

უფლის ნებით, წინასწარმეტყველი ელია ცეცხლოვანი ეტლებით ზეცაში იქნა იქნა ატაცებული. ეკლესიის სწავლებით, იგი მეორედ მოსვლის წინ ანტიქრისტეს სამხილებლად წინასწარმეტყველ ენოქთან ერთად მოვა და ხორციელ სიკვდილს დაითმენს. საეკლესიო გადმოცემით, ელიას ხალენი საქართველოშია დაფლული, სვეტიცხოვლის ტაძარში, წმიდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკვდერში.

ამასთან, ილია ჭავჭავაძე (1837-1907წწ) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდმა 1987 წელს, ერისა და ეკლესიის წინაშე ღვაწლისთვის, წმინდანად შერაცხა და უწოდა მას წმ. ილია მართალი.

საკოორდინაციო შეხვედრა და პილოტური პროექტების პრეზენტაცია

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება USAID-ის მხარდაჭერით, CENN-მა ჩაატარა საკოორდინაციო შეხვედრა და პილოტური პროექტების — საერთო სარგებლობის საძოვრების მდგრადი მართვა — პრეზენტაცია საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. მას დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილიც ესწრებოდნენ.

ღონისძიების მონაწილეებმა მოინახულეს წყაროსთავისა და დედოფლისწყაროს საძოვრები, საექსპერიმენტო ნაკვეთები და საქონლის განახლებული და სარწყულებლები, განიხილეს საძოვრების მართვის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდები; აგრეთვე საერთო საძოვრების მართვის სამართლებრივი გზები.

დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების საერთო სარგებლობის საძოვრებს რიგი ბუნებრივი, სოციალური და ადმინისტრაციული პრობლემები უკავშირდება:

- არიდიზაცია, ეროზია, დამლაშება, გადაძოვება, მცენარეთა ინვაზიური სახეობები;
- საძოვრების მართვის არცტრადიციული და არც თანამედროვე მეთოდების (მაგ. ნაკვეთმონაცველობის) გამოუყენებლობა;
- საძოვრების საზღვრების დაუდგენლობა;
- კონფლიქტები კერძო ფერმერებსა და სოფელს შორის საძოვრების გამო;
- საძოვრების არამიზნობრივი გამოიყენება;
- ადგილობრივი მოსახლეობის ჩაურთველობა საძოვრების მართვაში;
- დასარწყულებელი სისტემები გაუმართავობა.

გარდა ამისა, საძოვრების ადმინისტრირების არსებული სამართლებრივი ფორმა არ შეესაბამება საძოვრების დანიშნულებას:

საძოვრები არაა რეგისტრირებული და მათი საზღვრები დაფიქსირებული; მესამე მხარისათვის საძოვრების იჯარით გაცემა (რაც შესაძლებელია არსებული კანონმდებლობით) სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ქმნის სოფლისათვის. გარდა ამისა, რადგან სამართლებრივად საძოვრები წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრებას, ადგილობრივ მთავრობას არ შეუძლია მოსახლეობის დახმარება საძოვრების მართვაში.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გამო, საძოვრების პროდუქტიულობა საგრძნობლად შემცირებულია, რაც მოსახლეობის შემოსავლებზე აისახება.

საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში მიმდინარე საპილოტე პროექტების მიზანია ხელიშეუწყოს მოსახლეობის მონაწილეობას საძოვრების მართვაში, შექმნას საექსპერიმენტო ნაკვეთები და გეგმები საძოვრების მდგრადი მართვისათვის, აგრეთვე, დაიწყოს სტრუქტურული დიალოგი საძოვრების მართვის არსებული სამართლებრივი ფორმის შესახებ.

27 ივლისს, საკოორდინაციო შეხვედრაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას“ და CENN-მა ხელიმოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია უზრუნველყოს და სარწყულებელი ადგილების აღდგენა, შემდგომი მოვლა და უფასო ხელმისაწვდომობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

საკოორდინაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გარემოს დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

არჩევნები 1 ოქტომბერს გაიმართება

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს გაიმართება, — ამის შესახებ საგანგებო ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ გაუსვა ხაზი მთავრობის მზაობას, რომ შემოდგომაზე დანიშნული საპარლამენტო არჩევნები იქნება თავისუფალი და სამართლიანი, ხოლო საარჩევნო კამპანია – ღია და გამჭვირვალე.

„დღეს კიდევ ერთხელ გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ ეს არჩევნები და კამპანია იქნება სამაგალითო“,— განაცხადა მანანა მანჯგალაძემ და მთელი წლის განმავლობაში განხორციელებული ის ღონისძიებები ჩამოთვალა, რაც ამ მიმართულებით განხორციელდა.

მანჯგალაძის განმარტებით, ეს ეხება პრეზიდენტის მიერ აპრილის თვეში გამოთქმულ ინიციატივას საქართველოში გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიების მოწვევასთან დაკავშირებით.

ასევე ეს ეხება საარჩევნო სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ ჩატარებულ მუშაობას და უწყებათაშორისი კომისიის აქტიურ მუშაობას.

მანჯგალაძის თქმით, თავისუფალი არჩევნების ჩატარების მიმართულებით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, ყველა საკაბელო მაუწყებელი ვალდებულებას იღებს საარჩევნო კამპანიის პერიოდში ყველა ტელეკომპანია ჩართოს შესაბამის ქსელში; ასევე მმართველი პარტიის მიერ ინიცირებული ქცევის კოდექსის კამპანია, რომელშიც თითქმის ყველა პარტია ჩაერთო. პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა იმედი გამოთქვა, რომ ყველა პოლიტიკური პარტია შეუერთდება და ხელს მოაწერს აღნიშნულ დოკუმენტს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ ერთობლივად იქნა შემუშავებული.

„პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ არჩევნები კიდევ ერთი დასტური იქნება ქართული დემოკრატიის სიმწიფისა და სიცოცხლის უნარიანობის. გადადგმება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ჩვენი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების გზაზე“,— განაცხადა მანანა მანჯგალაძემ და დასძინა, რომ პრეზიდენტი მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში.

პარტიებისთვის არჩევნების თარიღი მისაღებია

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ნაწილი აცხადებს, რომ პრეზიდენტმა არჩევნების დღედ მათთვის მისაღები თარიღი გამოაცხადა.

„ძალიან ადრე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური სუბიექტი ჩართულია უკვე წინასაარჩევნო კამპანიაში. მათ შორის, რა თქმა უნდა, „ახალი მემარჯვენეებიც“. ჩვენ საკმაოდ ადრე დავიწყეთ ეს პროცესი. აქ მოულოდნელი არაფერი არ იყო. თარიღი, რა თქმა უნდა, მისაღებია. უბრალოდ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ თარიღის დროზე ადრე განსაზღვრა, იმიტომ რომ განსხვავებით „ქართული ოცნებისა“ და “ნაციონალური მოძრაობისგან”, რომლებიც უკვე წინასაარჩევნო კამპანიას თავიანთი ნომრით ატარებენ, ჩვენ ამის შესაძლებლობა არ გვქონდა. ამ დღეებში ჩატარდება წილისყრა და ჩვენ გვექნება საშუალება რომ კამპანია უკვე იმ ნომრით წარვმართოთ, რომლითაც მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას. ჩვენ უკვე გამზადებული გვაქვს საარჩევნო კალენდარი. უბრალოდ ახლა დავაკონკრეტებთ თარიღებს, იმის მიხედვით, რომ პირველ ოქტომბერს უკვე არჩევნებია დანიშნული“, — განუცხადა მანანა ნაჭყებიამ, “ახალი მემარჯვენეების” ერთ-ერთმა ლიდერმა.

კოალიცია “ქართული ოცნების” წევრი ვახტანგ ხმალაძე აღნიშნავს, რომ კოალიცია “ქართული ოცნება” ამ თარიღისთვის მზად იყო და ეს რაიმე პრობლემებს არ წარმოშობს.

“არჩევნები შეიძლება დანიშნულიყო 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით. ამიტომ, ბუნებრივია, კოალიცია “ქართული ოცნება” ამისთვის ემზადებოდა. ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ წარმოიშობა, ჩვენ მზად ვართ ყველაფრისთვის”, — ამბობს ხმალაძე.

პარტიისთვის აღნიშნული თარიღი პრობლემურად არ მიაჩნია პოლიტიკური გაერთიანება “ქრისტიან—დემოკრატიული მოძრაობის” წევრ ლევან ვეფხვაძეს.

პოლიტიკური გაერთიანება “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი დავით დარჩიაშვილი ამბობს: „პრეზიდენტმა გამოაცხადა არჩევნების თარიღი. როგორ ფიქრობთ, პარტია, რომლის თავმჯდომარეც არის თვითონ, მზად არ იქნება საპარლამენტო არჩევნებისთვის?!”

„ლეიბორისტულმა პარტია“ კი ამ დროისთვის ამ საკითხზე არ საუბრობს. პარტიის პოლიტიკური მდივნის გიორგი გუგავას განცხადებით, ისინი აღნიშნულ საკითხზე კომენტარს მოგვიანებით გააკეთებენ.

შეგახსენებთ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 108—ე მუხლის თანახმად, არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა. საქართველოს პრეზიდენტმა დღეს, 1 აგვისტოს გამოაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდება.

საქართველოს პარლამენტის 77 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 73 წევრი — მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

ცესკო არჩევნების პირველ ოქტომბერს ჩასატარებლად მზად არის

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, ცესკო არჩევნების 1-ელ ოქტომბერს ჩასატარებლად მზად არის. მისი თქმით, ის რომ არჩევნების დღე ორშაბათია და საზღვარგარეთ ეს დღე სამუშაო დღე იქნება, სავარაუდოდ, არჩევნების შედეგზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს.

“სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაცია ყველა დონეზე მზად არის, სრულფასოვნად ჩაატაროს პირველი ოქტომბრის არჩევნები. ჩვენ გვქონდა საკმარისი დრო, საკმარისი ფინანსური, მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რომ ამ პროცესის ორგანიზება კარგად გაგვეკეთებინა”, - განაცხადა ხარატიშვილმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, უკვე ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ გააკეთა განაცხადი, 27-ს აქვს წარდგენილი და მასზე მიმდინარეობს მსჯელობა. ასევე, იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებთაც პარლამენტში ჰყავს თავიანთი წარმომადგენელი, შეუძლიათ განაცხადი წარადგინონ 5 აგვისტოს 18 საათამდე, იგივე ვრცელდება დამოუკიდებელ კანდიდატებზეც.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ ერთიანი სია გამოაქვეყნა

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ ამომრჩეველთა ერთიანი სია გამოაქვეყნა. სია მიმდინარე წლის 1-ელი აგვისტოს მდგომარეობით არის შედგენილი და ასეთია:

ძირითად სიაში არის 3 385 844 მონაცემი; აქედან მისამართის გარეშე 52 648 ამომრჩეველი; რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილია 188 995 ამომრჩეველი; გაურკვეველი მისამართის მქონეა 42 390 ამომრჩეველი; აღნიშნული სიის მიხედვით საზღვარგარეთ იმყოფება 310 113 ამომრჩეველი;

ამ მონაცემებში ითვლება თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაცვის პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლები, რომლებიც ხმას სპეციალურ უბნებზე აძლევენ და ასეთი არის 55 277 ამომრჩეველი. იძულებით გადაადგილებული კი - 207 055 ამომრჩეველია.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომიისიის თავმჯდომარის მამუკა კაციტაძის განცხადებით, ეს სიების საბოლოო ვარიანტი არ არის და მისი ფორმირებაზე უახლოესი ორი თვის მანძილზე კიდევ გაგრძელდება.

საპარლამენტო არჩევნების დღეს საარჩევნო მაგიდებზე მხოლოდ სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ ცესკო—თვის გადაცემული სია იქნება.

ამის შესახებ დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის მიერ “კარდაკარის” შედეგების პრეზენტაციაზე განაცხადა.

ხარატიშვილმა კომისიის მუშაობა დადებითად შეაფასა და განაცხადა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და ამომრჩეველთა მხრიდან საარჩევნო პროცესისადმი ნდობის მხრივ.

,,ვფიქრობ, ასეთივე წარმატებით გაგრძელდება სიებზე მუშაობა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არჩევნების დღეს სამაგიდო სიები იქნება ის სია, რომელიც გადმოეცემა ცესკო-ს სიების დაზუსტების კომისიიდან იმ მცირე ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც მათივე თანხმობით განხორციელდება”, - განაცხადა ხარატიშვილმა.

აგვისტოს ომ

გოჩა ილურიძე

გოჩა ილურიძე სულ 18 წლის ბიჭი იყო სამშობლოს დასაცავად რომ გაიწვიეს და წავიდა ჯარში, უფროს ძმას რჩევაც ჰკითხა, კონტრაქტი ხომ არ გავაფორმოო. ძმამ სპეცნაზში შესვლა ურჩია. შევიდა.

მტერმა მხოლოდ 2 თვე მისცა... და არც დიდი სიყვარულის მოსვლა აცადა, რომელსაც ელოდა...

ომი დაიწყო...

8 აგვისტო. ერედვი. სპეცრაზმელები ჩრდილში ისვენებენ. გადაღლილები არიან, ორი დღეა ფეხით მოდიან. გადაქანცულებს იმედი უნთებთ გულებს – იმედი გამარჯვებისა. კასეტური ბომბი... რამდენიმე წამი... აფეთქება...

გოჩა იქვე, იმ წამსვე დაიღუპა...

გოჩა ილურიძე 1990 წლის 14 თებერვალს დაიბადა. იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ზემო ქედში.

მანანა ყაბანაშვილი, დედა: „ძალიან სერიოზული ბავშვი იყო, ჭკვიანი, შრომის მოყვარე, ერთი წუთი ვერ ჩერდებოდა, სულ შრომობდა და რაღაცას აკეთებდა. უყვარდა სპორტი, ჭიდაობაზე სიარული უნდოდა, ვერ ვატარეთ... ვერ შევუწყეთ ხელი.... თავისით ვარჯიშობდა სახლში, „გირებით“, „ტურნიკზე“... რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, მაინც გამონახავდა დროს და რამდენიმე წუთი ვარჯიშობდა. სწავლით საშუალოდ სწავლობდა, სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება არ უფიქრია. ჯარში უნდოდა წასვლა, ჩემი უფროსი ბიჭი ვაზიანში მსახურობს, კონტრაქტორია და მის შემხედვარეს, გოჩასაც თავიდანვე განზრახული ჰქონდა, სავალდებულოს მოხდის მერე, ჯარში დარჩენა კონტრაქტზე. ძალიან მშრომელი იყო. არაფერს თაკილობდა, ორთაჭალაში ციხეებს რომ ანგრევდნენ, იქაც მუშაობდა. სოფელში ჯართზე მუშაობდა. თავისი ორი კაპიკი ყოველთვის ჰქონდა. ის კი არა, ჩვენც გვარჩენდა თავისი შემოსავლით...“

2008 წლის 14 თებერვალს გოჩა 18 წლის გახდა და მალევე გაიწვიეს კიდეც ჯარში.

„25 მაისს მოუვიდა უწყება, მე სამუშაოდ ვიყავი წასული და სამსახურში ჩამომაკითხა, უწყება მომიტანეს და უნდა წავიდეო. იმ დღეს მისი დეიდაშვილის დაბადების დღე იყო და თელავში მიდიოდა. მითხრა: თელავში წავალ, 26-ში მამიდასთან მივალ რაიონში და იქიდან წავალ პირდაპირ ჯარშიო. წავიდა დაბადების დღეზე, მოილხინა. გულმა არ მომითმინა, ბავშვი ჯარში რომ წაიყვანონ, როგორ არ უნდა გავაცილო მეთქი, 27 მაისს დილაუთენია კომისარიატში ჩავედი, იქ ველოდებოდი. ცოტა დაიგვიანა, ძალიან დაღონებული მოვიდა. გადაუღეს სურათები და „მარშრუტკაში“ რომ ჯდებოდა, გადამეხვია, დამკოცნა და გამომემშვიდობა. ძალიან დაღონებული იყო. რა ვიცოდი, რომ ჩემს შვილს ცოცხალს უკანასკნელად ვხედავდი...

ერთი თვე ქუთაისში, გეგუთის ნაწილში ჰყავდათ. ფიცი, რომ მიიღეს, იქიდან კრწანისში გადაიყვანეს, სპეცდანიშნულების რაზმში.

ძმისთვის უკითხავს, კონტრაქტზე ხომ არ გადავიდეო. ძმამ ურჩია სპეცნაზში გადადიო... სულ ორი თვე იმსახურა ქვეყნის დასაცავად და მის თავისუფლებას შეეწირა...

მისი მეთაური ამბობს, საამაყო ჯარისკაცი მყავდაო. გამოვიყვანდი ხოლმე დავაყენებდი და სხვა ჯარისკაცებს მივმართავდი, მიბაძეთ ამ კაცს და იყავით ასეთი ვაჟკაცები, როგორიც გოჩააო...

ხშირად ველაპარაკებოდით ტელეფონზე, ძალიან მოსწონდა ჯარში ყოფნა,

ვარჯიშობდა და თავს კარგად გრძნობდა. ერთხელ მითხრა: სირბილში მეორე ადგილი ავიღეო...

ბოლოს 6 აგვისტოს ველაპარაკე, დაგვიმალა, მომატყუა მარნეულში ვართ ნაწილში, ვვარჯიშობთო. ჩვეულებრივ გველაპარაკა, არაფერი ისეთი არ უთქვამს, რომ რამეზე დავეჭვებულიყავი. უთქმელი ბავშვი იყო, არაფრის თქმა არ უყვარდა... რაც ჯარში წავიდა მას მერე აღარ მინახავს...''

დაიწყო აგვისტოს ომი. გოჩაც და მისი უფროსი ძმაც ომში იბრძოდნენ, დედა დაკავშირებას ვერ ახერხებდა ომში წასულ შვილებთან.

„ვერაფრით ვუკავშირდებოდი ბიჭებს, ომი იყო და 2 შვილი სად მყავდა არ ვიცოდი. 9 აგვისტოს გოჩას უსულო სხეული მომიტანეს სახლში, დედა მოუკვდეს...

7 აგვისტოს გორში ჩაუყვანიათ და შემდეგ ერედვში შესულან.

ორი დღე და ღამე ფეხით უვლიათ და დასასვენებლად ხის ჩრდილში გაჩერებულან, მეთაურებს უთქვამთ, დაისვენეთ ცოტა ხანიო. მაგ დროს დაწყებულა დაბომბვა... ზოგი წამომჯდარი ყოფილა, ზოგიც წამოწოლილი, კასეტური ბომბი, რომ ჩამოუგდია თვითმფრინავს, რამდენიმე წამი რომ გასულა, მერე აფეთქებულა, ვინც ფეხზე წამომდგარა, ძირითადად ისინი დაიღუპნენ და დაიჭრნენ.... გოჩა მაშინვე დაღუპულა, მარჯვენა ფერდში ჰქონდა ჭრილობა, მეორე მხარეს გადიოდა... ამ დროს უფროსი ბიჭი უკვე ცხინვალში იყო. არც ის გვეუბნებოდა სად იყო... ერთმანეთი ვერ უნახავთ, ვერც ვერაფრით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს...“

გოჩას დაღუპვის ამბავი გამგეობას შეატყობინეს, მაგრამ ვერავინ ბედავდა ეთქვა დედისთვის — შვილი აღარ გყავსო.

დედა: „მთელი დღე არაფერს მეუბნებოდნენ, შებინდებისას მთელი ეზო გაივსო... ჩემს თავს რომ უბედურება ტრიალებდა, მივხვდი, ვერავინ მიბედავდა თქმას, მე უფროს ბიჭზე ვფიქრობდი, გიორგის ხომ არ დაემართა-მეთქი რამე. გოჩაზე ერთი წამით ცუდი არ მიფიქრია...

უამრავი ხალხი იყო ჩვენს ეზოში, არ მეუბნებოდნენ სახელს, რომელი დაიღუპა... მერე ჩემმა ნათლიამ მითხრა: გოჩა აღარ გყავთო... გიორგის 10 აგვისტოს გავაგებინეთ ძმის დაღუპვა, ბიძამ დაურეკა და ჩამოიყვანეს. 14 აგვისტოს დავკრძალეთ გოჩა...

არ გადის წუთი და წამი, რომ თვალწინ მისი სახე არ მედგას...

პატარა ძმას შეისვამდა მოლმე კისერზე და დაატარებდა. ძალიან ათამამებდა, მიჰყავდა მაღაზიაში, ტანსაცმელს და კანფეტებს ყიდულობდა...

ამბობდა სიყვარულის დღეს ვარ დაბადებული და დიდი სიყვარული მეწვევაო. შეყვარებული არ ჰყავდა, ერთი გოგო მოსწონდა, მაგრამ არაფერს ამბობდა ჩვენთან. მისმა მეგობრებმა გვითხრეს მერე...

მორიდებული და უთქმელი ბიჭი იყო, მისი ზემდეგი ამბობს, მე გოჩას თვალები არ მახსოვს, სულ თავჩაღუნული იდგა და ისე ლაპარაკობდაო...

ხათრიანი ბიჭი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი. კლასელები იხსენებენ, ჩხუბში რომ ვიყავით და გოჩას დავინახავდით, უკვე აღარ გვეშინოდაო. გამხდარი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი...“

ანა ყაბანაშვილი, გოჩას ბებია: „6 წლიდან ჩემთან იზრდებოდა. წესიერი და ზრდილობიანი ბავშვი იყო, ძალიან უთქმელი, ბაბო მოუკვდეს... დაუზარელი იყო, ვინმეს რამე რომ ეთხოვა, უარს არავის ეუბნებოდა... მშრომელი ბიჭი იყო, მეხმარებოდა, დამიბარავდა, დამითესავდა ხოლმე... ძალიან უჭირდათ და თუ კი სადმე სამუშაო იყო, ყველგან მიდიოდა და არაფერს თაკილობდა. დაკოურილი ხელები ჰქონდა... ჯარში ისე წავიდა, რომ ვერ მოასწრო ბოლოს ჩემი ნახვა... ადრე ვეუბნებოდი, გოჩა ჯარში, რომ წახვალ, როდისღა მნახავ, ცოცხალს მომისწრებ-მეთქი? გახმეს ჩემი ენა... ბაბო, ერთი წელი ისე მალე გაივლის, რომ ნუ გეშინია, არაფერი დაგემართებაო...“

მზია ყაბანაშვილი, გოჩას ბიცოლა: „ჯარში წასვლამდე ჩვენთან იყო ამოსული, თვეების შვილიშვილი მყავს, გიჟდებოდა ბავშვზე. მთელი დღე ხელში ეჭირა და დაატარებდა...

ძალიან წყნარი, ზრდილობიანი, უთქმელი ბიჭი იყო, რომ ვკითხავდი, ხომ არ გშია-მეთქი, არაო, ყოველთვის ამას მეუბნებოდა...

10 აგვისტოს ჩემი გარდაცვლილი მეუღლის დაბადების დღისთვის სუფრას ვამზადებდით. ამ სამზადისში ვიყავით, უბანში საშინელი სიჩქარით შემოვარდა მანქანა, ხმამაღლა ეძახდნენ ჩემს ბიჭს, გიას. გია გარეთ გავარდა. ჩაისვეს მანქანაში და წავიდნენ. გული გამისკდა, ვერ მივხვდი ვინ იყვნენ, რატომ ჩაისვეს ჩემი შვილი და სად წაიყვანეს... შეშინებული სირბილით გავეკიდე მანქანას. მეორე უბანში გაჩერებულ მანქანას მივადექი. შორიდან ჩემი შვილის ბღავილი შემომესმა... გავქვავდი, როგორ მივედი მანქანამდე აღარ მახსოვს... კარები რომ გამოვაღე, გია უკვე ისტერიკაში იყო ჩავარდნილი. მარტო ვაიმეს ყვიროდა... ყველა გადმოვიდა მანქანიდან და დაწყნარება დამიწყეს... მზია დეიდა, გოჩა დაღუპულაო... უბედურება დაგვატყდა თავს...“

გოჩას მშობლიურ სოფელში, ყოველ 9 აგვისტოს, გოჩას სახელობის ტურნირს ატარებენ ფეხბურთში...

თემურაზ ბერიძე

შინდისში მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სნაიპერმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გმირმა ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თემურ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამიზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვიტოს კი შინდისში დაეცა.

ფუტკარაძე მანანა, მეუღლე:

„ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსულიო, თუმცა ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეო... თურმე ალყაში იყო, შინდისში, ზოიძემ და მისმა ნათლიამ, რომ აიფეთქეს თავი იმ ტერიტორიაზე. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მძიმედ დაჭრილი ყოფილა და კვდებოდაო... რკინიგზასთან ახლოს დაღუპულა.

მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრჩობს, როცა იხსენებს: „ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი თავიდანვე მომეწონა, შევქმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლინახევრის რომ იყო, ბავშვს წნევამ დაარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილებთან სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც.

კონტრაქტზე შესვლა 2006 წელს გადაწყვიტრა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულიანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მაშინვე სენაკში გადაანაწილეს. მეორე ქვეით ბრიგადაში იყო. წოდებით კაპრალი.

მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღლილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს, რომ დავამთავრებ კიდევ უნდა გავაგრძელოო, მაგრამ ისიც ვერ დაამთავრა და დაგვტოვა მარტო...

სანამ ომი დაიწყებოდა ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცილე. სახლიდან, რომ გადიოდა, ორჯერ შემოტრიალდა. ბავშვები ჩაკოცნა და მეც გამომემშვიდობა. ორ დღეში დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალით აღარ მინახავს...

ბოლო პერიოდში ძალიან ჩაფიქრებული იყო, რომ ვეკითხებოდი რატომ ხარ ასე-მეთქი არაფერიაო, მპასუხობდა. არაფერს ამბობდა... მეც საერთოდ არაფერს მიგრძნობდა გული, ცუდზეც არ ვფიქრობდი, სანამ ომი დაიწყებოდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო, მერე ძალიან შემეშინდა და რაღაც საშიშროება ვიგრძენი.

ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე და 9 აგვისტოს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, „სამშვიდობოს ვარო“-თურმე მტრის ალყაში ყოფილა.

გიჟივით დავიწყე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ვეღარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლა-მეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრიარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაყვანად, ჩემი მეუღლეც მაშინ გადმოასვენეს. მალევე ამოიცნეს და

პირდაპირ კახეთში ჩამოასვენეს.

არ არსებობს ღამე, რომ სიზმარში არ ვნახო...

ცხოვრება გრძელდება და მე ჩემს შვილებს ვჭირდები, მათ უნდა მივხედო და ბიჭს ვუმკურნალო, რომ ჯანსაღი და სრულფასოვანი ვაჟკაცი გაიზარდოს. თემური გმირია. გმირი იქნება შვილებისთვის და პირველ რიგში ქვეყნისთვის. ის წავიდა, მაგრამ დატოვა სახელი, რომელსაც კიდევ დიდი ხანი არ დაივიწყებს ხალხი.

თემური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი.“

ის გმირები

გიორგი აბიათარი

„ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართ!“ — ასე დაუძახებენ დედებს გიორგი აბიათარი და გოჩა ილურიძე ჯარში წასვლისას, უკვე სამარშრუტო ტაქსიდან...

გიორგი აბიათარი დედისერთაა, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ეხება. 18 წელი შეუსრულდება თუ არა, მაინც წავა...

2 თვეც არ იმსახურებს — ომი დაიწყება. მუხლზე პრობლემები ჰქონდა, ომში არ მიჰყავთ, კომისია უნდა გაიაროო. პირველი მანქანიდან ჩამოსვამენ. მეორე მანქანაში ავა და ომში მაინც წავა...

გიორგი აბიათარი კოჯორში დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, იზრდებოდა დედოფლის წყაროს რაიონში, სოფელ ჯაფარიძეში. დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია. დედისერთა იყო, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ვერ ანებივრებდნენ.

ლიზა აბიათარი, დედა: „შრომა უყვარდა, დაუზარელი იყო, მუდამ გვერდში მედგა, დიდი ადამიანივით შრომობდა, რომ წამოიზარდა ცული აიღო ხელში, მეზობლებს შეშის ჩეხვაში ეხმარებოდა, ერთი-ორი კაპიკი რომ დარჩენოდა... ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები...

უყვარდა ფეხბურთი, ჭიდაობა... ხშირად უყურებდა სათავგადასავლო ფილმებს, ამბობდა, მე სიკვდილის არ მეშინია და აუცილებლად უნდა წავიდე ჯარშიო...“

გიორგი აბიათარმა 9 კლასის დამთავრების შემდეგ, კოლეჯში ჩააბარა მექანიზაციის ფაკულტეტზე.

2008 წლის 5 აპრილს გიორგის 18 წელი შეუსრულდა.

დედა: „ძალიან მინდოდა მისი დაბადების დღე რომ აღმენიშნა, აღვნიშნეთ, მაგრამ ბევრის დაპატიჟება ვერ შევძელი და მოვუბოდიშე, ყველა ვერ დაგიპატიჟე-მეთქი. მომეხვია, მერე რა მოხდა, 19 წლის თუ სამხედრო ნაწილში გავხდები, 20 წლის ხომ სახლში ვიქნები და მაშინ გადავიხადოთ დიდი დაბადების დღეო...“

დედამ გადაუხადა დაპირებული დიდი დაბადების დღე, ყველა იყო — თანაკლასელები, ნათესავები, ჯარის მეგობრები. აღარ იყო გიორგი... გიორგი ვეღარც 19 წლის გახდა, ვეღარც ოცის...

დედისერთას ჯარში წასვლა არ ეხებოდა, მაინც წავიდა.

დედა: დედისერთა იყო ჯარში არ მიჰყავდათ, მისი კლასელები მიდიოდნენ და ამბობდა, მეც აუცილებლად უნდა წავიდეო და წავიდა თავისი ინიციატივით. გოჩა ილურიძესთან ერთად იყო სამარშრუტო ტაქსში, ფანჯარა გააღეს და დაგვიძახეს, ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართო. 27 მაისს წავიდა ჯარში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში იყვნენ, კარანტინს როდესაც მორჩნენ, მკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში გადავიდე თუ დაცვაში დავრჩეო. ნათესავებსაც ჰკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში ურჩიეს. კრწანისში მსახურობდა. ყოველ შაბათ-კვირას ვაკითხავდი, არასოდეს დაუწუწუნია, მაშინაც კი, როცა მუხლზე პრობლემები შეექმნა. 27 ივლისს ღუდუშაურის კლინიკაში მყავდა, მისი მდგომარეობა რომ ნახეს, უთხრეს სამსახურიდან გაგიშვებთო. უარი თქვა, სამსახურს არ მივატოვებ, უბრალოდ, ცოტა ხანი დრო მომეცით, რომ ვიმკურნალოო. 9 აგვისტოს კომისია უნდა ყოფილიყო, უნდა გამოეშვათ... კარგი უფროსობა ჰყავდა, ყურადღებას აქცევდნენ... ბოლოს მაშინ ვნახე, 27 ივლისს, ღუდუშაურის კლინიკაში რომ მყავდა... მთელი დღე ხელი ჰქონდა გადახვეული და მიყვარხარო, მეორებდა... რომ გამომაცილა, ჩამეხუტა და ისე დამემშვიდობა.... მას მერე მისი ხმა აღარ გამიგია... 2 აგვისტოს ილიაობაა და მითხრა, შენ ნუღარ ჩამოხვალ, დედი, მე ჩამოვალო...

ომში რომ მიდიოდნენ, გიორგი არ მიჰყავდათ, მანქანიდან ჩამოუსვამთ, შემონმება გაქვს გასავლელიო, მაგრამ მანქანაში მაინც ასულა, შემდეგ უკვე გორში უნახავთ, ტყვია-წამალს რომ ურიგებდნენ“.

გიორგი აბიათარი 8 აგვისტოს, ერედვში დაიღუპა – მტრის ჩამოგდებულმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

ელიკო ზედელაშვილი, მასწავლებელი: „გიორგი ცელქი, დაუდეგარი, უსაზღვროდ კაცთმოყვარე, მეგობრებისთვის თავგანწირული ბიჭი იყო. ისტორიკოსობაზე ოცნებობდა და ძალიან ბევრს კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა იყო, სრულებითაც არ იყო ჩაკეტილი. ტრიალებდა ყველგან, სკოლაში, მეგობრებში, მეზობლებში. ბოლო შეხვედრისას დიდი სიყვარულით და სიამაყით მითხრა: მე ჯარში წავედიო. მე კი გავეხუმრე: მაშ მშვიდად ვიყო გიორგი-მეთქი? დიახ, გჯეროდეთ ჩემიო. დავიჯერე გიორგი, დავიჯერე...“

დედა: „მისი თანაკლასელი, ხვიჩა ქოქუაშვილი გიორგისთან ერთად იყო ომში, ის მიყვებოდა, ერედვში, ზოგი მაღლობზე ყოფილან, ზოგი ქვემოთ. ცოტა ხნით ჩრდილში ისვენებდნენ. მაღლობზე მყოფებს რომ დაუნახავთ, თვითმფრინავები მოდიანო, დაუძახიათ, დაწექითო. დაწოლილან, მაგრამ კასეტური ბომბი ჩამოვარდნისთანავე არ აფეთქებულა, ბიჭები წამომხტარან და აფეთქებულა კიდეც... 4 ბიჭი იყო ერთად და ოთხივე ამ ბომბმა იმსხვერპლა. ბიჭებს რომ დაუნახავთ, გამოქცეულან საშველად, ჩემი გიორგი უკვე გარდაცვლილი ყოფილა...“

დედის გულმა იგრძნო თავს დამტყდარი უბედურება.

„რაღაცას ვგრძნობდი, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. სულ ტელევიზორს მივჩერებოდი, იქნებ რამე გამეგო, ხან ხვიჩას დედასთან ავდიოდი, იქნებ იმან გაიგო რამე-მეთქი, სადაც ხალხს დავინახავდი შეკრებილს, იქ მივდიოდი, ჩემს დანახვაზე იშლებოდნენ... მიკვირდა რა ჭირთ-მეთქი, მეზობელთან მივედი, გიორგის ვერ ვუკავშირდები, გამომყევი, ბილაინის ბარათი მაყიდინე, დამეხმარე-მეთქი, ეს რომ ვთხოვე, მეზობელმა ზურგი შემაქცია, მეორე მეზობელს უთხრა: წაიყვანეო... თურმე ყველამ იცოდა ჩემი უბედურება, სოფელში მოსულან და უთქვამთ, როგორ მივიდეთ დედამისთანო... როგორმე უნდა გავაგებინოთო. ჩემს დისშვილთან მისულან, ჩემ დასთან... მეზობლები შინ არ მიშვებდნენ, მარტო არ მტოვებდნენ... ჩემი მეუღლე მოვიდა მერე, დაიხარა, მაკოცა. გამიკვირდა, რა მოუვიდა-მეთქი. ჩემს მეუღლეს უკვე სცოდნია რომ შვილი აღარა გვყავს... მითხრა, წადი სახლში, მეც მალე მოვალო. მივედი სახლში, ჩემი და ჩამოიყვანეს, ჩემმა დამ სახლში შემიყვანა, ჩემმა დისშვილმა შემომაპარა, გიორგი დაჭრილიაო... 11 საათზე დარეკავენ და გვეტყვიან სიმართლესო. თურმე 11 საათს ელოდებიან, რომ მოასვენონ გიორგი. მთელი სოფელი ჩემთან სახლში იყო, მთელი სოფელი ფეხზე იდგა, ერთად მოასვენეს ჩემი შვილი და ილურიძე...

14 აგვისტოს დავკრძალეთ ჯაფარიძეში. ბიჭები ხშირად ადიან გიორგის საფლავზე... ძალიან რთულია და გაუსაძლისი გიორგის გარეშე ცხოვრება.

ძალიან უნდოდა, რომ სამხედრო ბილეთი მალე აეღო და სასაზღვრო პოლიციაში დაეწყო მუშაობა, ძალიან უნდოდა, რომ ფორმა სცმოდა... ძალიან თბილი და კარგი დედაშვილობა გვქონდა. შვილი რომ მეყოლება აუცილებლად შენი სახელი უნდა დავარქვაო, მპირდებოდა...

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. რაიონის ცენტრში გაკეთდა მემორიალური დაფა და მოედანი, რომელსაც „სამშობლოსთვის თავდადებულის“ სახელი დაერქვა...

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მენატრება ჩემი შვილი... ერთადერთი ისღა მაცოცხლებს, რომ მისი სულისთვის ვილოცო. მე გამწარებული, მაგრამ მაინც ამაყი დედა ვარ, რადგან გმირი გამიზრდია.

მასალები მომზადებულია
წიგნიდან „გმირები“

შინდისის ბრძოლა

ეს არაა შეთხზული ამბავი, ესაა გმირობის რეალური ამბავი — თუ როგორ შეეწირნენ ჩვენი ბიჭები ომის დასრულების შემდეგ ჩასაფრებულ მტერს, როგორ არ შეეპუენ და როგორ იბრძოლეს ტყვია-წამლის გამოლევამდე.

მათ უკანდახევის ბრძანება მიიღეს და უკან ბრუნდებოდნენ, ყველამ დარეკა, რომ იმ საღამოს შინ იქნებოდნენ. შინდისის მოსახლეობა გვიყვება, რომ ამ შეტაკებამდე 2 საათით ადრე გამოჩნდნენ შინდისში რუსული ტანკები, ქართული დროშებით და ჩასაფრდნენ ძველი რკინიგზის სადგურთან.

ჩასაფრდნენ ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებით, ტყვიამფრქვევებით. სენაკის ბატალიონი მიუახლოვდა თუ არა ჩასაფრებას, მტერმა ააფეთქა პირველი და ბოლო მანქანა, ჩაკეტა გასასვლელები, ბევრმა უშველა თავს ბატალიონიდან, ეს ბიჭები კი პირისპირ შეასკდნენ მტერს. მათაც შეეძლოთ, გარიდებოდნენ სიტუაციას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გარიდებია, პირიქით — რკინიგზის იქით გადავიდნენ და ხელჩართული ომი გაუმართეს მტერს.

ბრძოლა 70 მეტრის რადიუსში მიმდინარეობდა, ჩვენები შეიარაღებულნი იყვნენ მარტო ავტომატებით და ხელყუმბარებით, რუსები — მძიმე ტექნიკით. ეს ბიჭები საათისა და 20 წუთის მანძილზე უწევდნენ მტერს წინააღდეგობას. სოფელი გვიყვებოდა, რომ ორმხრივი შეტაკება საათსა და ოც წუთს გრძელდებოდა, შემდეგ 10-15 წუთი უკვე ცალმხრივი სროლა ისმოდა — ჩვენებს ტყვია-წამალი გამოელიათ, რუსები საკონტროლო გასროლებს აწარმოებდნენ, ცოცხლად დარჩენილების გასანადგურებლად.

ოთარ კალმახელიძე სწორედ იქ დაიჭრა, მასაც გადაატარეს საკონტროლო, ბეწვზე გადარჩა სიკვდილს. ის გვიყვებოდა, რომ ამ დროისთვის ზოგი დაჭრილი იყო, ზოგი დაღუპული, მხოლოდ ალეკო ონიანი იყო უვნებლად გადარჩენილიო.

ონიანს მუხლზე ესვენა მძიმედ დაჭრილი თავის ნათლული რომან ზოიძე. ალეკომ დაგვიძახა, ვინც ცოცხალი ხართ და გესმით ჩემი, მტერს არ ჩაბარდეთ, ჩემამდე მოდით და თავი ავიფეთქოთო. დავიყვირე, რომ გაქცეულიყო, ამბავი მაინც გაეტანა, თავის ნათლულიც ეხევეწებოდა წადი თავს უშველეო, მაგრამ არსად არ წავიდა, გადაირია მე აქედან ცოცხალი არ გავალ, ჩემს ნათლულს არ დავტოვებო.

ხმამაღლა წაიკითხა „მამაო ჩვენო“, ჩვენ დაჭრილები ვიმეორებდითო, ლოცვა დაასრულა, რუსებს დაუყვირა, არ ჩაგბარდებით და არც ჩემს ნათლულს დაგანებებთო, გულში ჩაიკრა ნათლული, და დიდი აფეთქების ხმა იყო, თვალი რომ გავახილე უკვე აღარც ალეკო ჩანდა სადმე, არც მისი ნათლულიო...

ახლახან რუსი ჯარისკაცის, საშა დროზდოვის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც უშუალოდ აქვს ნაბრძოლი ამ ბიჭებთან. ომის სხვა ამბებს ჰყვება და ბოლოს აყოლებს, ცხინვალში ვიყავით, როცა შეგვატყობინეს, ცხინვალის გასასვლელთან, ერთ-ერთ სოფელში, ჩვენ ბატალიონს დამატებითი რაზმი ესააჭიროებაო.

მივიღეთ ბრძანება და ნახევარ საათში მივედით 70 კაციანი ჯგუფი, და რას ვხედავთ — ქართველები ჩვენებს თავის აწევის საშუალებას არ აძლევდნენ, უკვე ბევრი რუსი ჯარისკაცი იყო დაჭრილი და დაღუპულიო.

მათმა მეთაურმა უთხრა ჩვენს მეთაურს, არ ვიცი, ესენი ადამიანები არიან თუ ქაჯები, უკვე ერთი საათია, ასეთ დღეში ვართო. ჩვენ ჩავებით ბრძოლაში, ყველაფერი დამთავრდა და როგორც გავიგეთ 12 კაცი გვებრძოდაო.

ვინც ჩვენს ტყვიებს გადაურჩა, თავისი ხელით მოისწრაფეს სიცოცხლეო. თავი აიფეთქესო. რომ ჩავიარეთ, ჩემმა მეთაურმა ჩაილაპარაკა, ნეტავი ასეთი გმირები და ვაჟკაცები მე იქ მყოლოდაო... მივხვდი რომ ჩეჩნეთს გულისხმობდა, ჩეჩნეთში ნაომარი იყო ჩვენი მეთაურიო (სცენარისტ ედმონდ მინაშვილის ნაამბობიდან)...

ბოლოთქმის მაგიერ:

1801 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ—კახეთის სამეფო.

1810 წელს დაიპყრო იმერეთის სამეფო, 1828 წელს — გურიის, 1856 წელს — სამეგრელო—სვანეთის, 1865 წელს — აფხაზეთის სამთავროები.

აფხაზეთის დაპყრობით რუსეთის იმპერიამ დაასრულა საქართველოს ოკუპაცია.

1921 წლის 25 თებერვალი — დამოუკიდებელი საქართველო იმპერიამ ისევ დაიპყრო.

1924 წელი — დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ათასობით ადამიანი დახვრიტეს.

1989 წლის 9 აპრილი — თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საბჭოთა დამსჯელმა რაზმმა 21 მშვიდობიანი დემონსტრანტი მოკლა: იმპერიამ დაიწყო საქართველოს ხელახალი ოკუპაცია.

რუსეთმა 1992 წელს სამაჩაბლოს, ხოლო 1993 წელს აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა.

2008 წელს რუსეთმა ოკუპირებული რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა.

200 წლის განმავლობაში საქართველომ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ რვა ომი გადაიხადა!!!

იმის საფრთხე, რომ ომების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს, ჯერაც არსებობს...

გახსოვდეს შენი ისტორია!!!

მირზაანში ნიკალას სახლის რეაბილიტაცია იწყება

სოფელ მირზაანში მდებარე ფიროსმანის სახლ-მეუზეუმის რეაბილიტაციაზე გამოცხადებული ტენდერის ვადა უკვე ამოიწურა. ამ დროისთვის დაფიქსირდა ერთადერთი პრეტენდენტი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ვინაობას ოფიციალურად არ ასახელებს, თუმცა „შირაქმა“ მისი ვინაობაც დაადგინა და ხელმძღვანელის კომენტარიც მოიპოვა.

გაზეთ „შირაქის“ ხელთ არსებული ინფორმაციით, ფირმა „ტაო-ტბელი“ ქალაქ რუსთავშია რეგისტრირებული. როგორც გაირკვა, ამ ეტაპზე მხოლოდ ნიკალას მემორიალური სახლის რეაბილიტირება იგეგმება. ფინანსებს ნიკოლოზ ვაჩეიშვილის უწყება გამოყოფს.

„ტაო-ტბელის“ ხელმძღვანელი რამაზ ებრალიძე ამ საკითხის ირგვლივ კომენტარს აკეთებს. ის აცხადებს, რომ უახლოეს დღეებში ელოდება სააგენტოს, რის შემდეგაც ხელშეკრულება გაფორმდება.

ებრალიძე აცხადებს, რომ ახლახან პირადად იმყოფებოდა მირზაანში, დათვალიერა მუზეუმის ავარიული შენობა და ვარაუდობს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შეთავაზებული 34 ათასი ლარი რესტავრაციისთვის საკმარისი იქნება.

„მართალია ერთადერთი პრეტენდენტი ჩვენი ორგანიზაცია იყო, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა. უკვე გადაწყვეტილია, რომ სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციას შპს „ტაო-ტბელი“ მოახდენს. რამდენიმე დღეში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში პირადად მივალ, ხელშეკრულებას გავაფორმებთ და მუშაობას შევუდგებით. სატენდერო პირობების მიხედვით, ვალდებულება გვეკისრება, რომ რეაბილიტაციის პროცესი 70 დღის ვადაში დავასრულოთ. ამიტომაც, ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ რამდენიმე დღეში, სავარაუდოდ 2 კვირაში, მემორიალური სახლის აღდგენის პროცესს დავიწყებთ. მანამდეც რამდენჯერმე ნამყოფი ვარ მირზაანში და რადგან ეს ადგილი ძალიან მომწონს, ამიტომაც დავინტერესდით ამ საკითხით და გვინდა მის აღდგენაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ამჟამად მუზეუმს საოცრად კარგი მმართველი ჰყავს, ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს, მისგან მუდმივად დადებითი ენერგია მოდის და მზად ვართ ვიმუშავოთ. იმედი გვაქვს ადგილობრივ მედიასთანაც მჭიდროდ ვითანამშრომლებთ,“ - ამბობს ებრალიძე.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, შპს „ტაო-ტბელი” 2007 წელს დაარსდა და როგორც მისი მფლობელი აცხადებს, ისტორიულ ძეგლებზე მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება აქვთ.

„ჩემმა ფირმამ რესტავრაცია ჩაუტარა ხობის მონასტერს, ჩვენი რეაბილიტირებულია ბოლნისის სიონი, ასევე, ჯიხეთი გურიაში, დუშეთშიც მაქვს რამდენიმე ტაძარი აღდგენილი. ასე რომ, ფიროსმანის სახლ-მუზეუმსაც ისე აღვადგენთ, რომ მის პირვანდელ სახეს არანაირი საფრთხე არ დაემუქრება,“ - განაცხადა რამაზ ებრალიძემ ჩვენთან საუბარში.

გაზეთი „შირაქი“ ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის ახლადდანიშნულ მმართველს ნელი გობეჯიშვილს დაუკავშირდა. გობეჯიშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მომავალი სარესტავრაციო სამუშაოების დასაგეგმად და მუზეუმის მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად სოფელ მირზაანში რამდენიმე დაინტერესებული ადამიანი მართლაც იმყოფებოდა, ისინი აუცილებლად ჩასატარებელ სამუშაოებს გაეცნნენ. თუმცა, ნელი გობეჯიშვილი განმარტავს, რომ მისთვის უცნობია, მათგან რომელმა მათგანმა მიიღო ტენდერში მონაწილეობა, ან საბოლოო ჯამში რომელი შპს განახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტოს მირზაანში, ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციისათვის 34 ათასი ლარი მას შემდეგ გამოყო, რაც მსოფლიო ბანკმა მუზეუმი დასაფინანსებელი ობიექტების სიიდან ამოიღო. 1 თვის წინ, ფიროსმანის მუზეუმის რებილიტაცია-კონსერვაციის პროექტზე დაახლოებით 4 მილიონი დოლარი უნდა დახარჯულიყო. პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებდა ითვალისწინებდა არა მარტო სახლ-მუზეუმის რესტავრაციას, არამედ მთელი ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგებას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის ელექტრონული ტენდერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 27 ივლისს გამოაცხადა, მისი საერთო ღირებულება კი 34,628 ლარით განისაზღვრა.

გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებული იქნება შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 დღის ვადაში დაასრულოს. მირზაანში ნიკალას მიერ აშენებული მემორიალური სახლის რეაბილიტაცია იგეგმება.

შეგახსენებთ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მირზაანში, ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციისათვის 34 ათასი ლარი მას შემდეგ გამოყო, რაც მსოფლიო ბანკმა მუზეუმი დასაფინანსებელი ობიექტების სიიდან ამოიღო.

გასულ კვირას მირზაანში შეხვედრა გამართეს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმაც, რომლებმაც მუზეუმის განვიტარებისა და ტურისტების მოზიდვისა, თუ სოფლის გამოცოცხლების საკითხებზე ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად იმსჯელეს და საკუთარი პროექტების პრეზენტაცია მოახდინეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ცესკო-ს ტრენინგები ჟურნალისტებისა და თვითმმართველობის იურისტებისთვის

აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედმა რეგიონულმა მედია წარმომადგენლებმა საარჩევნო საკითხებზე ორი დღის განმავლობაში ტრენინგები გაიარეს. 23 ივლისს სწავლება სასტუმრო „ამბასადორში“ კახეთისა და ქვემო ქართლის ჟურნალისტებითსვის ჩატარდა, 24 ივლისს კი ტრენინგები სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის მედია წარმომადგენლებისთვის გაიმართა. ტრენინგს დედოფლისწყაროდან გაზეთი „შირაქიც“ ესწრებოდა.

სწავლებას საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი უწევდა ორგანიზებას. ჟურნალისტები ეცნობოდნენ საქართველოში არჩევნების რეგულირების საკითხებს, წინასაარჩევნო კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფის მეთოდებს, კენჭისყრის დღის პროცედურებს და ა.შ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ინიცირებული სწავლება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შედგა, რომელიც გასული წლის ბოლოს ცესკოსა და ოთხ რეგიონულ მედია ასოციაციას შორის (დოკუმენტს ხელს რეგიონული მედიის და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციების, რეგიონულ რადიოსადგურთა და საქართველოს სატელევიზიო ქსელების წარმომადგენლები აწერენ) საარჩევნო გარემოს ერთობლივად გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით გაფორმდა.

როგორც ცესკო-ს წარმომადგენელმა თამარ მჭედლიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სწავლება ასევე განხორციელდა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, აჭარის და გურიის მოქმედი მედია საშუალებისთვის. ცესკო მომავალშიც გეგმავს მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელებას.

ამას გარდა, მოგვიანებით იგივე შინაარსის ტრენინგი ცესკო-მ საქართველოს მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სამხარეო ადმინისტრაციების იურისტებისთვის საარჩევნო საკითხებზე ტრენინგები გამართა. სწავლებას ორგანიზებას ცესკო-ს იურიდიული დეპარტამენტი და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი უწევდნენ.

როგორც ცესკოს წარმომადგენელმა თამარ მჭედლიშვილმა გვაცნობა, ტრენინგები 15 ივლისიდან დაიწყო და 4 აგვისტომდე გაგრძელდა. 4 აგვისტოს სიღნაღში კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოთა და გუბერნიის იურისტები შეიკრიბნენ.

სწავლების მონაწილეები საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს ეცნობოდნენ, რაც მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს ეხება. ანუ თვითმმართველობის ორგანოები პასუხისმგებელი ხდებიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულაციაზე და ამ მასალების განთავსების წესების დარღვევებთან მიმართებაში რეაგირებაზე.

სწავლება თბილისის მერიის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა და ქვემო ქართლის თვითმმართველობების იურისტებისთვისაც იმართება. ტრენინგები უკვე ჩატარდა იმერეთის, რაჭის, გურიის და სამეგრელოს და სხვა რეგიონებში.

ცესკო-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უწყება მედიასაშუალებებთან აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს. მით უფრო საარჩევნო ადმინისტრაცია ხაზს უსვამს, რომ განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა რეგიონულ მედიასაშუალებებთან ექნებათ.

ილია მარტყოფლიშვილი

სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარი მოქმედი გახდა

1 აგვისტოს მართლმადიდებლურმა სამყარომ წმიდა სერაფიმე საროველის ხსენების დღე აღნიშნა. სოფელ სამრეკლოში წმინდანის სახელობის ეკლესია ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკმა აკურთხა და მრევლს აუწყა, რომ ტაძარი მოქმედი გახდება, მის წინამძღვრად კი მამა გაბრიელი დანიშნა.

„საბჭოთა პერიოდის დროს ეკლესიის გუმბათი, რომელიც ხის იყო, დაწვეს. ტაძარს სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისათვის იყენებდნენ, მათ შორის საწყობად და კინოთეატრის შენობადაც. ერთი პერიოდის განმავლობაში აქ სკოლაც იყო განთავსებული. დღეს მართლაც მნიშვნელოვანი დღეა. ტაძარს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა, რის შედეგადაც დასრულდა გუმბათისა და სამრეკლოს აღდგენითი სამუშაოები, მოპირკეთდა ტაძრის იატაკი, შემოწირულობებით შევიძინეთ სატრაპეზოც. "—აღნიშნა თავის ქადაგებაში მეუფემ და მრევლს ინფორმაციაც მიაწოდა, რომ წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარი მხოლოდ ორია საქართველოში—ერთი ბორჯომში, მეორე კი სოფელ სამრეკლოში მდებარეობს . მან ასევე ისაუბრა წმინდანის ცხოვრებაზეც, კერძოდ, მრევლს კიდევ ერთხელ მოუთხრო, რომ „ღირსი სერაფიმე ჭვრეტდა აღმსარებლების გულებს და ღვთისადმი აღვლენილი ლოცვებით კურნავდა მათ სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ლოცვის დროს ჰაერში ამაღლებულიც კი უნახავთ. მრავალი სასწაული მოხდა ღირსი მამის წმინდა ნაწილების გახსნისას და მოყოლებული ამ დღიდან წმ. სერაფიმეს საფლავთან და მის წყაროსთან მისული ყველა ადამიანი იღებს კურნებას".

ტაძრის კურთხევის შემდეგ მეუფე მელქისედეკმა მოინახულა წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესიის აწ გასვენებული მოძღვრის— მამა სოლომონის საფლავი, რომელიც ტაძრის ეზოშია განთავსებული და მის ქალიშვილსაც გაესაუბრა. მეუფემ წირვის დროსაც მოიხსენია მამა სოლომონი, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ტაძრის შენარჩუნებისა და, საერთოდ, სოფლის სულიერი ცხოვრების საქმეში.

სამრეკლოს წმ. საროველის სახელობის ტაძარი, სავარაუდოდ, 1903 წელს ამოქმედდა. იგი გრაფი სეჩენოვის შემოწირულობით აშენდა და წარმოადგენს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურულ ძეგლს. იგი ჯვარგუმბათოვანი ტიპისაა და უნიკალურია იმითაც, რომ ამ წმინდანის სახელზე აგებული მეორე ტაძარია საქართველოში. სამწუხაროდ, ტაძარი მხოლოდ ორი ათეული წელი იყო მოქმედი. 2009 წლიდან დაიწყო ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები, რომელსაც შპს „სტანდარტი—A" ახორციელებდა.

2012 წლის 1 აგვისტო ისტორიული თარიღია სოფელ სამრეკლოს მცხოვრებთათვის: ამიერიდან მათ საკუთარი ტაძარიც ექნებათ და საკუთარი მოძღვარიც ეყოლებათ. თუმცა, ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ამის მიუხედავად, დედოფლისწყაროს ცენტრამდე გრძელი გზის გავლას არ შეეპუება და სოფლის ტაძრის პარალელურად ხშირად ეწვევა დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძარს.

ინგა შიოლაშვილი

სამრეკლოს წმ. საროველის სახელობის ტაძარი, სავარაუდოდ, 1903 წელს ამოქმედდა. იგი გრაფი სეჩენოვის შემოწირულობით აშენდა და წარმოადგენს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურულ ძეგლს. იგი ჯვარგუმბათოვანი ტიპისაა და უნიკალურია იმითაც, რომ ამ წმინდანის სახელზე აგებული მეორე ტაძარია საქართველოში. სამწუხაროდ, ტაძარი მხოლოდ ორი ათეული წელი იყო მოქმედი.



დედოფლისწყაროელებმა ელიაობა იზეიმეს

2 აგვისტოს, დედოფლისწყაროელებმა ტრადიციულად იზეიმეს ელია თეზბიტელის ხსენების დღე. 1 აგვისტოს, საღამოს, ელიას მთაზე საზეიმო წირვა—ლოცვა აღავლინა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკმა დედოფლისწყაროელ მღვდელმსახურებთან ერთად. ამ დღესაც უამრავი სტუმარი ეწვია ჩვენს რაიონს, რათა ელიას მთაზე მდებარე ტაძარში დაენთო სანთლები და წმინდანისთვის ეთხოვა საკუთარი ქვეყნისა და ოჯახის დაცვა.



მეუღლე ლიზა; შვილები: იზოლდა, ნათელა, ავთო,ნანა; სიძეები:მურთაზ ნაროზაული, მერაბ ფიროსმანაშვილი, რძალი ლია ბალხამიშვილი; შვილიშვილები: მარიამი, თეონა, ნინო; შვილთაშვილები: დინა, ლიზა, გეორგია იუწყებიან

ივანე აფციაურის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 1/VIII—5საათზე, დაკრძალვა 2/VIII—2საათზე ქალაქ დედოფლისწყაროში ხორნაბუჯის ქუჩაN 29

მეუღლე ასმათი, შვილები:სოსო, ზაზა, მაია შიოლაშვილები; ძმები:ვანო, გენადი; რძლები დონარი,მადონა;სიძე ზაზა აფშინაშვილი, შვილიშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა შიოლაშვილი

დაკრძალვა 7 აგვისტოს, სოფელ ქვემო ქედში.

დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოძღვარი და მრევლი სამძიმარს უცხადებს მამა ბაქარს დედის

ანას

გარდაცვალების გამო.

თენგიზ და მზია კობაიძეების ოჯახი სამძიმარს უცხადებს იზო, მურთაზ, მარიამ, ნანა და ავთო აფციაურებს მამის

ივანეს

გარდაცვალების გამო.

ქველმოქმედება სულის მოთხოვნილებაა

სწორედ სიმბოლურად 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთასორისო დღეს გაიხსნა საბავშვო გასართობი ცენტრი „ჯარის წყლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის შენობაში. ორი თვეა, რაც ცენტრი ფუნქციონირებს და ამ სიახლით სიამოვნება ბევრმა მოზარდმა მიიღო. აქ ლამაზ და დასამახსოვრებელ დაბადების დღეებს იხდიან პატარები, არც ყოველდღიური „ კლიენტი“ აკლიათ . აქ გართობა და სიამოვნების მიღება ხომ არც ისე ძვირია: - 2-3 საათით ცენტრის ატრაქციონებით სარგებლობა სულ რაღაც 5 ლარი ღირს. თანაც, ბავშვთა რაოდენობა შეზღუდული არ არის. ატრაქციონები და თავშესაქცევი კი მრავლადაა - საცუ-რაოები, საქანელები, ბატუტი, წონასწორობის მოძრავი რგოლები, სცენა, მიკროფონები, საინტერესო მულტ-ფილმები და კარაოკე, ერთი სიტყვით, აქ შესულს თავი დიდი ქალაქის ბავშვთა გასართობ-ცენტრში გეგონებათ. ბავშვების გახალისებასა და გართობისთვის ზრუნავს დიჯეი. დები ლოლაშვილების მიერ წაყვანილი საღამოს ნახვას არაფერი სჯობს. არც მშობლები მოიწყენენ, იქვე, მეზობელ დარბაზში „ ბილიარდის“და „ტენისის „ მაგიდებია გაწყობილი . ყველაფრის სულის ჩამდგმელები და ორგანიზატორები კი ამ ცენტრის მეპატრონეები ბიძინა პაპაშვილი და მარინე ცხვედიაშვილი არიან. სწორედ მათი ინიციატივით, 1 აგვისტოს საღამოს ,ელიაობის დღესასწაულს მიეძღვნა მშვენიერი საქველმოქმედო კონცერტი, რომელზეც პირველ რიგში, საპატიოდ ის ბავშვები იყვნენ მოწვეულნი, ვინც ამ ცენტრში გადაიხადა დაბადების დღე. თუმცა, არც სხვა სტუმრები დაკლებიათ. დარბაზი გაივსო ბავშვებით, დედებით, მამებით და ბებიებით. ვისი გვარის შთამომავლებს არ ნახავდით აქ - ნატროშვილებს, იაკობიშვილებს, სესიტაშვილებს, ბიბილეიშვილებს, სინჯიაშვილებს, ხელაშვილებს, გონაშვილებს, საბიაშვილებს, ფიროსმანაშვილებს, მელაშვილებს, მაჭავარიანებს, ყველას როგორ ჩამოვთვლით?! მრავლად იყვნენ სხვადასხვა რაიონიდან ახლობლებთან ერთად სტუმრად მოსული ბავშვებიც. იდგა ჟრიამული და სიხარული. სცენა არ „ ნელდებოდა“ - მღეროდნენ, ლექსებს ამბობდნენ, ცეკვავდნენ... ბედნიერი სახეები ჰქონდათ ბავშვებსაც და უფროსებსაც

- ძალიან კმაყოფილი ვართ, ეს ცენტრი რომ გაიხსნა. ხშირად მომყავს ჩემი შვილები, ისინი აქ მშვენივრად ერთობიან და არც ისე ძვირი ღირს ეს სიამოვნება. მადლობა ქალბატონ მარინეს, რომელიც დიდ ენერგიას დებს ამ საქმეში. რაც მთავარია, ცენტრი ღიაა ყოველდღე, 10-11-საათიდან ღამემდე და, როცა შეძლებს მშობელი, განტვირთვისთვის 2-3 საათი გამონახოს, ნებისმიერ დროს შეუძლია ეწვიოს მას. მშობლების სახელით მადლობას ვუხდით ამ ქველმოქმედებისთვის. დღეს უამრავმა ბავშვმა უფასოდ იხალისა და ისიამოვნა მათი წყალობით. ვუსურვებ მათ წარმატებულ საქმიანობას, მშობლებს კი ვურჩევ, არ ინანებენ, თუ შვილებს ხშირად გამოასეირნებენ ცენტრში, ან დაბადების დღეს აქ გადაუხდიან. იქნებ დროა, დავივიწყოთ ცუდი პრაქტიკა, როცა ოჯახში ბავშვის დაბადების დღეზე სოლიდური თანხა იხარჯება, უამრავი საჭმელ-სასმელი მზადდება, უფროსები ქეიფობენ (ხშირად ზომაზე მეტადაც) და იუბილარი მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა მის სადღეგრძელოს მიირთმევენ. მოდით, ცივილურად მივუდგეთ საკითხს და ვასიამოვნოთ თავად იუბილარი, მოვალხინოთ მისი თანატოლები და ამით ვაჩუქოთ მათ ერთი ლამაზი დღე, რაც უფრო იაფი დაგვიჯდება, - გვეუბნება ერთ-ერთი მშობელი მერი საბიაშვილი და მის აზრს ყველა მშობელი იზიარებს.

- ახლა ზაფხულია და ბავშვების მიღებისთვის ყველა პირობა გვაქვს. გაფართოებასთან ერთად შეგვიძლია, მათ ტკბილეული და გამაგრილებელი სასმელებიც შევთავაზოთ. მოკლე ხანში დავამონტაჟებთ კიდევ ახალ ატრაქციონს. სულ მალე დავიწყებთ ზამთრის სეზონისთვის მზადებას - აუცილებლად მოვაწესრიგებთ, გვინდა, წლის ყველა სეზონზე ფუნქციონირების ნორმალური პირობები გვქონდეს. რაც შეეხება დღევანდელ ქველმოქმედებას, ეს პირველი და უკანასკნელი არ იქნება, ვფიქრობ, ქველმოქმედება ადამიანის სულის მოთხოვნილებაა, - გვესაუბრება ქალბატონი მარინე. ჩვენ კი წარმატებები ვუსურვოთ ბავშვთა გასართობ ცენტრს და მშობლებს მოვუწოდოთ, ნუ მოაკლებთ თქვენს შვილებს ამ სიამოვნებას, მიაჩვიეთ ისინი კომფორტს, ეწვიეთ ცენტრს და გპირდებით, თქვენ თავადაც დაგავიწყდებათ ცხოვრების ყოველდღიური სირთულეები, განიტვირთებით და კმაყოფილი დარჩებით. სურვილის შემთხვევაში დარეკეთ ტელეფონზე 599-23-35-82.

ნაირა გორაშვილი

ნადირობა-თევზჭერის სეზონის დაწყების ვადები განისაზღვრა

სსიპ „ბუნებრივი რესურსების სააგენტომ“ ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების სახეობების ჩამონათვალი, ნადირობის ვადები და დღიური ლიმიტები დაამტკიცა.

დოკუმენტის თანახმად, წყალმცურავ ფრინველებზე (რუხი ბატი, რუხი იხვი, ჭიკვარა, გარეული იხვი, იხვინჯა, ფართოცხვირა იხვი, მელოტა) ნადირობა 2012 წლის 1 ნოემბრიდან 2013 წლის 1 მარტამდეა დაშვებული. ამასთანავე, დახოცილი ფრინველების საერთო დღიური ოდენობა 8 ერთეულს არ უნდა აღემატებოდეს.

ტყის ქათამზე ნადირობა 2012 წლის 15 ოქტომბრიდან 2012 წლის 15 დეკემბრამდეა დაშვებული. მათი საერთო დღიური ოდენობის ნორმა 7 ერთეულია. 2012 წლის 18 აგვისტოდან 2013 წლის 15 თებერვლამდე იქნება შესაძლებელი ჩიბუხაზე ნადირობა, რომელთა საერთო დღიური ოდენობა 5 ერთეულს შეადგენს. ამავე პერიოდშივე შესაძლებელია ნადირობა მწყერზე (20 ერთეული), ქედანზე (10 ერთეული), გარეულ მტრედზე (10 ერთეული), გულიოზე (გვიძინი) (10 ერთეული), ჩვეულებრივ გვრიტზეც (10 ერთეული).

ულოცავენ!

თემურ დიმიტრიძეს!

ბატონო თემურ, გულწრფელად გილოცავთ საპატიო სიგელით დაჯილდოებას, რომელიც თქვენ ღირსეულად დაიმსახურეთ საქველმოქმედო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის! საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით:

საგვარეულოს და სოფლის სახელით,
პროფესორი ნანა დიმიტრიადი და სამთაწყაროს რწმუნებული პაატა ნადირაშვილი

აზოვის ზღვა გაწითლდა

ზღვა, რომელიც ათასობით დამსვენებელს კურნავს და უამრავ მეთევზეს კვებავს, საფრთხის ქვეშაა. ამის შესახებ Комсомолская Правда იუწყება.

რამდენიმე დღის წინ სანაპიროზე მყოფმა ადამიანებმა უცნაური რამ შენიშნეს, ზღვის ტალღები მოულოდნელად გაწითლდა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შემთხვევა დაბინძურებამ გამოიწვია. ერთ-ერთ საზღვაო ქალაქში ორი გიგანტური მეტალურგიული ქარხანა მუშაობს, შესაძლოა, სწორედ რომელიმე მათგანიდან გაჟონილმა ნივთიერებამ დააბინძურა ზღვა. გარდა ამისა, ვარაუდობენ, რომ ამ ყველაფერს თან უჩვეულოდ მაღალი ტემპერატურა დაერთო, რამაც დამსვენებლებისთვის უჩვეულო “სანახაობა” გამოიწვია.

სპეციალისტები შემთხვევას იკვლევენ.

ამინდი

დედოფლისწყარო

	შაბათი 04.08	კვირა 05.08	ორშაბათი 06.08	სამშაბათი 07.08	ოთხშაბათი 08.08	ხუთშაბათი 09.08	პარასკევი 10.08
დღე	32°	32	33°	32°	32°	33°	34°
ღამე	25°	25°	24°	26°	24°	25°	27°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
ნომრის რედაქტორი ინგა შიოლაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K